



შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი“

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურების წესი

მუხლი 1.

1.1 შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ (შემდგომში-კოლეჯი) უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის (შემდგომში სტუდენტი) შესაბამის ადაპტირებულ გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში და ინკლუზიური განათლების დანერგვას პროფესიული განათლების სფეროში.

მუხლი 2.

2.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურება ხორციელდება, წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 3.

3.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შენობაში შემდეგი ინფრასტრუქტურის არსებობას:

ა) შენობის შესასვლელში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების გადაადგილებისათვის განკუთვნილი სპეციალური ასასვლელი;

ბ) აუდიტორიების შესასვლელი კარები მოწყობილია ისე, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა დახმარების გარეშე შეძლოს სავარძლით გადაადგილება;

გ) შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი შესაბამის ადგილზე სავალდებულო სახელურებით;

დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის გამოყოფილია პირველ სართულზე ოთახი. დანარჩენი სტუდენტის მსგავსად კომპიუტერული კლასით ისარგებლებს მეორე სართულზე განთავსებულ ინფორმატიკის კაბინეტში, ხოლო საჭირო ლიტერატურით უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი;

3.2 სასწავლებელში სპეციალური საჭიროების მქონე პირების დახმარების მიზნით თვითმმართველობის მიერ შეიქმნება „მეგობრული ჯგუფი“, რომელიც დაკომპლექტებული იქნება პროფესიული სტუდენტებისაგან. „მეგობრული ჯგუფის“ წევრები დაეხმარებიან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს ყველა საკითხში, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ, კომფორტულ გადაადგილებას, სწავლის პროცესში წარმატებების მიღწევასა და თანატოლებთან სრულ ინტეგრაციას.

3.3 კოლეჯის დაცვის სამსახური ვალდებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს აღმოუჩინოს ყველა სახის დახმარება, შენობაში შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილების საკითხში.

მუხლი 4.

4.1 სასწავლებელი მუდმივად ზრუნავს ყველა სტუდენტისთვის თანაბარი გარემოს შესაქმნელად, რათა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს განათლების მიღების შესაძლებლობა. ამისათვის ითვალისწინებს ყველა იმ სიახლეს, რაც რეკომენდირებულია სახელმწიფოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

მუხლი 5.

5.1 ზემოთ აღნიშნული წესი მოქმედებს შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ მთელს ტერიტორიაზე .

5.2. ზემოთ აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ დირექტორის ბრძანების საფუძველზე.